რა არის თავისუფალი ტურისტული ზონის უპირატესობა?

თუ გსურთ სასტუმროს აშენება და მისი ფუნქციონირება, შეგიძლიათ ისარგებლოთ თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის დადგენილი საგადასახადო შეღავათებით.

რა ტერიტორიაზე ვრცელდება საგადასახადო შეღავათი?

საგადასახადო შეღავათები ვრცელდება:

- ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში;

- ანაკლიის თავისუფალ ტურისტულ ზონაში;

- განმუხურის თავისუფალ ტურისტულ ზონაში.

რა საგადასახადო შეღავათები მოქმედებს?

- ✓ შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადმოგეცემათ სიმბოლურ ფასად – 1 ლარად;
- ✓ მიღებული მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) ღირებულება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან;

- მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია თქვენ მიერ 2026 წლის 1-ლ იანვრამდე სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება;

- ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია 2026 წლის 1-ლ იანვრამდე სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება;

- თქვენ ასევე თავისუფლდებით მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.

თუ თქვენ ხართ:

- ✓ გაასხვისოთ სასტუმრო. სასტუმროს გასხვისების შემთხვევაში ახალ მესაკუთრეზე ასევე ვრცელდება შეღავათები;
- ✓ სასტუმროს სამშენებლო პროექტში შეიტანოთ გარკვეული ცვლილებები.

შეღავათით სარგებლობისთვის საჭიროა:

- დაარეგისტრიროთ ცალკე მეწარმე სუბიექტი, რომელიც განახორციელებს სასტუმროს მშენებლობასა და ფუნქციონირებას;

- თითოეული სასტუმროს მშენებლობისათვის განახორციელოთ არანაკლებ 1 000 000 ლარის ინვესტიცია;

- ააშენოთ საშუალო ან/და მაღალი კლასის სასტუმრო, უზრუნველყოთ სასტუმროს ფუნქციონირება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შესაბამისი კლასის სასტუმროსთვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად

- სასტუმროს ტერიტორიაზე განახორციელოთ სასტუმროს პროფილთან თავსებადი საქმიანობა.